

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები: ფაქტები და რიცხვები



ევროკავშირ-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები ემყარება ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, მათ შორის შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში და მიზნად ისახავს პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. მისი მტკიცე მხარდაჭერით საქართველოს ტერიტორიული დამოუკიდებლობისადმი ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მისი პოლიტიკური დიალოგით, თანამშრომლობით და დახმარების პროგრამებით, ევროკავშირი ინარჩუნებს ძლიერი, დამოუკიდებელი და წარმატებული საქართველოს მხარდაჭერის ვალდებულებას.

უფრო ძლიერი ეკონომიკა

- ✓ ეკონომიკური განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა უმთავრესი პრიორიტეტია. ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია, 27%-იანი წილით ქვეყნის მთლიან ვაჭრობაში. ამჟამად მიმდინარე ევროკავშირის ბაზრის გახსნის პროცესი უფრო მეტი ქართული პროდუქტისთვის უწყვეტად სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს ექსპორტისა და შემოსავლის მიღების ახალ შესაძლებლობებს.
- ✓ მცირე და საშუალო სანარმოები საქართველოს ეკონომიკის ხერხემალია. მათი განვითარების მხარდასაჭერად ევროკავშირი უზრუნველყოფს დაფინანსებას, ტრენინგს და ექსპორტის ხელშეწყობას მისი EU4Business ინიციატივის საშუალებით. 2009 წლის შემდეგ 40,000-მა მცირე და საშუალო სანარმომ, მიკროსანარმომ და ფერმერმა მიიღო სესხები. გარდა ამისა, სულ 130 მილიონი ევრო გაიცა სესხების სახით ინოვაციური მცირე და საშუალო სანარმოებისა და საშუალო საბაზრო ღირებულების (საშუალო კაპიტალიზაციის) კომპანიებისთვის პროგრამის "ჰორიზონტი 2020" ფარგლებში. აღნიშნულის შედეგად შეიქმნა 10,300-მდე ახალი სამუშაო ადგილი.
- ✓ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) საშუალებით ევროკავშირი აწარმოებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციას სოფლის მეურნეობის კოოპერატიული მოდელის ამოქმედების მხარდაჭერით, რის შედეგადაც 1200 კოოპერატივის ჩამოყალიბება საქართველოში. ევროკავშირის მხრიდან მათთვის განუვლი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მიზანია ფერმერების დახმარება სამუშაო პირობების და შემოსავლების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, ევროკავშირის მხარდაჭერით მთელ საქართველოში შეიქმნა 59 საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრი, სადაც 250,000-ზე მეტმა ფერმერმა გაიარა ტრენინგი.
- ✓ ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების საშუალებით ევროკავშირი დაეხმარა 360 ადგილობრივ ინიციატივას სასოფლო რეგიონებში, რამაც გააუმჯობესა 1,000-ზე მეტი ოჯახის სამუშაო პირობები და 10,000-ზე მეტი ადამიანის საცხოვრებელი პირობები.

უფრო მტკიცე კავშირები

- ✓ ევროკავშირი საქართველოს დიდი გრანტებით უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანსპორტო კავშირების, ელექტრობის და წყლის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მათ შორისაა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი; ფართომასშტაბიანი წყლის ინფრასტრუქტურა აჭარაში, კახეთსა თუ იმერეთში; და ენჯურის კაშხლის და ელექტრობის სხვა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია მთელ ქვეყანაში. ევროკავშირის აღებული აქვს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის და საქართველოს მხარდაჭერის ვალდებულება ქვეყანაში მწვანე ენერჯის პროდუქციით. გარდა ამისა, რომ ევროკავშირმა დიდი წვლილი შეიტანა მთავარი ჰიდროელექტროსადგურების მოდერნიზაციაში, საქართველოში ახლა უკვე მოქმედებს კავკასიაში პირველი კომერციული ქარის ელექტროსადგური.
- ✓ ევროკავშირი მხარს უჭერს ნარჩენების მართვის ვრცელ პროგრამებს, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის სტრატეგიის მიღების ხელშეწყობას და ნაგავსაყრელების განვითარებას. გარდა ამისა, ევროკავშირი ეხმარება ტრანსნაციონალური გამონვევების გადამწვევას: შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა აერთიანებს მეზობელი ქვეყნების მუნიციპალიტეტებს ისეთი საერთო გამონვევების გადამწვევად, როგორცაა ზღვის ნაგავი.

უფრო ძლიერი მმართველობა

- ✓ ევროკავშირი თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც იცავს მოქალაქეთა უფლებებს და უმარტივებს მათ ცხოვრებას და საკუთარი მიზნების განხორციელებას.
- ✓ სამართლის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა მოქალაქისთვის, მათი შემოსავლის მოუხდევად, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა მთავრობის იურიდიული დახმარების სამსახურის ჩამოყალიბებას. სამსახურს აქვს 20 ოფისი მთელ ქვეყანაში და მან უკვე გაუწია უფასო დახმარება 330,000-ზე მეტ ადამიანს, მათ შორის - სასამართლოში წარმომადგენლობა 150,000-ზე მეტ საქმეში. შემთხვევათა უმრავლესობაში უფასო დახმარება მიიღეს იმ მოქალაქეებმა, რომლებისთვისაც სხვაგვარად ადვოკატის მომსახურება ხელმისაწვდომი არ იყო.
- ✓ ევროკავშირის მხარდაჭერით ტრენინგი გაიარა 5,000-ზე მეტმა მოსამართლემ, პროკურორმა, ციხის და პრობაციის სამსახურის თანამშრომელმა, პოლიციის გამომძიებელმა, სახალხო დამცველმა და ადვოკატმა; ამ ტრენინგების მიზანი იყო სპეციალისტების უნარების და შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესება და საქართველოს მოქალაქეთა უფლებების შემდგომი დაცვა.
- ✓ ევროკავშირი დაეხმარა მთავრობას არასრულწლოვანთა სამართლის სისტემის რეფორმირებაში. აღნიშნულის შედეგად 3000-მა არასრულწლოვანმა დამნაშავემ ისარგებლა დევიაციის და მედიაციის საქმიანობით, რამაც მათ საშუალება მისცა გამოეყენებინათ საკუთარი დანაშაული და იმედგეროულად თავიდან აეცილებინათ სისხლის სამართლებრივი დევნის შესაძლო უარყოფით ასპექტები.
- ✓ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სახალხო დამცველს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფისს კონტროლის და განხილვის რეგისტრის სისტემის გასაძლიერებლად.
- ✓ სამთავრობო სამსახურების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ევროკავშირმა მხარი დაუჭირა 76 სამთავრობო საზოგადოებრივი ცენტრის დაარსებას პატარა ქალაქებსა და სოფლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ცენტრების საშუალებით საქართველოს შორეულ ტერიტორიებზე მცხოვრები 90,000-ზე მეტი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდა 200 საჯარო და საბანკო სამსახური, უფასო ინტერნეტი და ბიბლიოთეკები.

უფრო ძლიერი საზოგადოება

- ✓ 2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზა ლიბერალიზაციის ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების თანხმად, ევროკავშირში ვიზის გარეშე იმოგზაურა საქართველოს 500,000-ზე მეტმა მოქალაქემ, რამაც მთლიანობაში 1 მილიონამდე ვიზიტი შეადგინა.
- ✓ პროგრამის „Erasmus+“ ფარგლებში, საქართველოს და ევროკავშირის შორის სტუდენტების და აკადემიური პერსონალის 7,500-მდე გაცვლა განხორციელდა. საქართველოდან 9300-ზე მეტმა ახალგაზრდამ და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავემ მიიღო მონაწილეობა ერთობლივ გაცვლებში, ტრენინგებსა და მოხალისეთა პროგრამებში.
- ✓ 2018 წლიდან საქართველოში, კერძოდ თბილისში, ფუნქციონირებს ევროპული სკოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მოსწავლეებისთვის, რომლებიც მაღალი ხარისხის, სწავლების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დამყარებულ განათლებას იღებენ.

ევროკავშირი მხარში უდგას საქართველოს COVID-19 პანდემიის პერიოდში

ევროკავშირმა სწრაფი რეაგირება მოახდინა და გამოეხმაურა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების გადაუდებელ საჭიროებებს COVID-19 პანდემიის პერიოდში. Team Europe-ის ფარგლებში ევროკავშირმა მობილიზაცია გაუწია მასშტაბურ მხარდაჭერის პაკეტს **980 მილიონ ევროზე** მეტი საერთო ოდენობით გრანტების სახით ისეთი გადაუდებელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორცაა ჯანდაცვის სექტორის და საზოგადოების დაუცველი ჯგუფების დახმარება, ასევე მოკლევადიანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სოციალური და ეკონომიკური აღდგენის მხარდასაჭერად ექვს პარტნიორ ქვეყანაში.

აღნიშნულის ნაწილია სპეციალურად შემუშავებული **COVID-19-ზე რეაგირების პაკეტი კონკრეტულად საქართველოსთვის** - არსებული და ახალი დაფინანსების საფუძველზე მობილიზებული იქნა გრანტები **183 მილიონ ევროზე** მეტი ოდენობით ადამიანებისთვის კონკრეტული დახმარების დასანეგად.

✓ ჯანდაცვის სექტორის და გადაუდებელი საჭიროებების მხარდაჭერა:

- წინა ხაზზე მომუშავე ჯანდაცვის პროფესიონალები, კერძოდ სამედიცინო და ლაბორატორიული პერსონალი, მიიღებენ სამედიცინო მოწყობილობებს, ტესტების კომპლექტებს, ნიღბებს, დამცავ სათვალევებს, დამცავ ტანსაცმელს, ხალათებს და სხვა აღჭურვილობას; გარდა ამისა, მათ ჩაუტარდება ტრენინგი ევროკავშირის და ჯანმრთელობის თანამშრომლობის ფარგლებში.
- დახმარება საქართველოს მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში ინოვაციური გადანაცვლებით, მათ შორის დისტანციური მზრუნველობით და ტელემედიცინით.

✓ სამოქალაქო საზოგადოების და დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა:

- სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორებთან თანამშრომლობის საშუალებით ევროკავშირის დღეისათვის შემუშავებული აქვს პროგრამები **დაუცველი ჯგუფების მხარდასაჭერად** COVID-19 კრიზისის განმავლობაში; ეს ჯგუფებია ოჯახური ძალადობის მსხვერპლები, ადგილობრივი პირები და უნარშეზღუდული ადამიანები.

✓ მცირე და საშუალო საწარმოების და მცირე ფერმების მხარდაჭერა:

- ინიციატივის **EU4Business** საშუალებით მცირე და საშუალო საწარმოებს და თვითდასაქმებულებს აქვთ წვდომა ლარში გაცემულ გრანტებზე, სესხებზე და ბიზნეს-რეკომენდაციებზე კრიზისთან ბრძოლის მიზნით.

- სასოფლო რეგიონებისთვის ხელმისაწვდომი იქნება **20** მილიონი ევროს ოდენობის გრანტები როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის განვითარებასა და აღდგენაში დახმარების მიზნით.

✓ გარემოს და მწვანე გარდაქმნის მხარდაჭერა:

- უფრო მეტი მწვანე აღდგენის ღონისძიება, მათ შორის სარეკომენდაციო სერვისები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, საქართველოს მთავრობის ტექნიკური დახმარება, დახმარების მოცულობის გაზრდა ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისთვის.

✓ ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა:

- ევროკავშირი გასცემს **75** მილიონ ევროს გრანტების სახით საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის მხარდასაჭერად, რომლის მიზანია სოციალური და ეკონომიკური აღდგენა. ის მოიცავს სოციალურ დახმარებას მოქალაქეებისთვის, აღდგენის ღონისძიებებს ბიზნესისთვის და ჯანდაცვის სისტემის საშუალებებს და აღჭურვილობას.

✓ მაკროფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა:

- საქართველოსთვის ევროკავშირისგან ხელმისაწვდომი იქნება კიდევ **150** მილიონი ევროს ოდენობის ახალი გადაუდებელი მაკროფინანსური დახმარების სესხები ძალზე პრივილეგირებული პირობებით, გადაუდებელი, სასწრაფო ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ფოკუსში:

უკვე მიღწეული შედეგების მაგალითები:

ევროკავშირის ინიციატივებმა სწრაფად მოახდინა რესურსების მობილიზაცია ყველაზე მეტად საჭირო სამედიცინო აღჭურვილობის წარმოების ან მიწოდების მიზნით.

ქართულმა კომპანიამ ერთი კვირის განმავლობაში შეძლო **40,000** სამედიცინო ხალათის პროდუქცია დამატებითი საკერავი მანქანების საშუალებით, რომლებიც მოწოდებული იქნა ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.

მონაზვნებმა კახეთში ერთად იმუშავეს **5,000** ნიღბის შესაკერად რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისა და სამედიცინო პერსონალისთვის საკუთარ მუნიციპალიტეტში.

40,000-ზე მეტი სახის დამცავი ფარი იყო წარმოებული მეორადი პლასტმასის ბოთლებისგან ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინიციატივები ეხმარება ყველაზე დაუცველებს:

12 რეგიონში მოხდა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორების მობილიზაცია COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის მისაწოდებლად ქართულად და უმცირესობების ენებზე, და ორგანიზებული იყო ადგილობრივი რესურსები ხანდაზმულების და უნარშეზღუდული ადამიანების დასახმარებლად.

3 ახალი პროექტი კონკრეტულ დახმარებას უწევს უნარშეზღუდულ ადამიანებს, ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს ან ადგილობრივი და კონფლიქტით დაზარალებულ პირებს.

ხელმისაწვდომი გახდა ადგილობრივი დაფინანსების სქემები:

1.1 მილიონ ევროზე მეტი ხელმისაწვდომია შორეული მთიანი რეგიონებისთვის (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო იმერეთი) ეკონომიკური აღდგენისთვის ორგანული ფერმერული საქმიანობის საშუალებით.

არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-კომპანიებს **8** სასოფლო მუნიციპალიტეტში შეუძლიათ განაცხადის შეტანა 3 მილიონი ევროს გრანტებზე ეკონომიკური განვითარების სტიმულირების და აღდგენის მიზნით.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სესხები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საქართველოს ბანკის, თიბისი ბანკის, ბაზის ბანკის, ლიბერთი-, პროკრედიტ-, კრისტალ- და კრედო ბანკების საშუალებით გაფართოვდა, რათა ხელმისაწვდომი იყოს მეტი კომპანიისთვის და უზრუნველყოს სესხების გაცემა ადგილობრივ ვალუტაში.

2017 წლის მარტის შემდეგ საქართველოს 500,000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა უვიზო რეჟიმით შენგენის სივრცეში სამოგზაუროდ, რამაც

1 მილიონ

ვიზიტზე მეტი შეადგინა.

2009 წლის შემდეგ 40,000-მა მცირე და საშუალო სანარმომ, მიკროსანარმომ და ფერმერმა მიიღო სესხი საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად. გარდა ამისა, სულ

130 მილიონი ევრო

გაიკა სესხების სახით ინოვაციური მცირე და საშუალო სანარმოებისა და მცირე და საშუალო კაპიტალიზაციის კომპანიებისთვის პროგრამის "ჰორიზონტი 2020" ფარგლებში. აღნიშნულის შედეგად შეიქმნა 10,300-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

საქართველოს მხარდაჭერა უსაფრთხოების საკითხში

სტაბილურად უცვლელია ევროკავშირის ვალდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პოლიტიკის მიმართ ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, და ევროკავშირის ჩართულობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების მხარდაჭერაში.

2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე, ევროკავშირმა საქართველოში განათავსა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM), რომელიც ახორციელებს სადღეღამისო პატრულირებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ. აღნიშნულმა შეამცირა დაძაბულობა და ესკალაციის პოტენციური რისკი, და ხელი შეუწყო სტაბილურობას მთელ საქართველოში და გარემომცველ რეგიონში. ამჟამად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ჰყავს ხმელეთზე მომუშავე 200-ზე მეტი მონიტორი და აქვს 24/7 ცხელი ხაზი, რაც კონფლიქტის მხარეებს აძლევს ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას უსაფრთხოების საკითხებზე დაძაბულობის განმუხტვის მიზნით.

ევროკავშირის ახალი პროგრამა SAFE უზრუნველყოფს მომავალ მხარდაჭერას ისეთ საკითხებში, როგორიცაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სასაზღვრო მენეჯმენტი, კიბერუსაფრთხოება და სამოქალაქო დაცვა ბუნებრივი კატასტროფებისგან, და იმავდროულად უზრუნველყოფს უსაფრთხოების სექტორზე საჯარო ზედამხედველობას და ამ სექტორის ანგარიშვალდებულებას.

გარდა ამისა, ევროკავშირი მიესალმება საქართველოს მხრიდან საერთაშორისო ნორმებზე დამყარებული წესრიგის დაცვის მხარდაჭერას შესაბამის მრავალმხრივ ორგანიზაციებში. საქართველოს ასევე შეაქვს წვლილი გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევების გადაჭრაში. 2014 წლის მარტში ძალაში შევიდა ჩარჩო-ხელშეკრულება საქართველოს მონაწილეობის შესახებ ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ოპერაციებში, და მას შემდეგ ქვეყანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რამდენიმე ოპერაციის ჩატარებაში. ამჟამად საქართველოს 32 რაზმი ჰყავს გაგზავნილი ევროკავშირის სამხედრო წვრთნების მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, და ის არის ევროკავშირის სანვრთნელი მისიის მონაწილე მალიში.